

საქართველოს კანონი

ამნისტიის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ამ კანონის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელის მოხდისაგან ათავისუფლებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41(48), 1999 წელი, მუხ. 209) გათვალისწინებულ დანაშაულებში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირებს.

მუხლი 1

1. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან ის ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის არის 70 წლის (სამოცდაათი) ან მეტი, ხოლო ბრალდებული/მსჯავრდებული ქალი 65 წლის (სამოცდახუთი) ან მეტი ასაკის, თუ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული, გარდა იმავე კოდექსის 110-ე-115-ე მუხლებით; 118-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით; 139-ე მუხლის პირველი ნაწილით; 143-ე მუხლის პირველი ნაწილით; 143³ მუხლის პირველი ნაწილით; 144² მუხლით; 144³ მუხლის პირველი ნაწილით; 157-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით; 158-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით; 159-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით; 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით; 174-ე მუხლით; 177-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით; 178-ე მუხლის პირველი ნაწილით; 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 181-ე მუხლის პირველი ნაწილით; 194¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით; 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 253-ე მუხლის პირველი ნაწილით; 255-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით; 255¹ და 255² მუხლებით; 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით; 262-ე მუხლის 1¹ ნაწილით; 263-ე-265-ე მუხლების პირველი ნაწილებით; 268-ე მუხლის პირველი ნაწილით; 269-ე და 270-ე მუხლებით; 271-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით; 272-ე მუხლის პირველი ნაწილით; 284-ე მუხლით; 285-ე მუხლის პირველი ნაწილით; 286-ე მუხლით; 317-ე მუხლით; 318-ე მუხლის პირველი ნაწილით; 320-ე და 321-ე მუხლების პირველი ნაწილებით; 322¹ მუხლით; 322² მუხლის პირველი ნაწილით; 330¹ და 331-ე მუხლების პირველი ნაწილებით; 331² მუხლით; 335-ე მუხლის პირველი ნაწილით; 339¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებზე; 344-ე მუხლით; 353-ე მუხლის პირველი ნაწილით; 364-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით; 365-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით; 378-ე და 378¹ მუხლების პირველი და მე-2 ნაწილებით; 378² მუხლით; 381-ე მუხლით და 405-ე მუხლით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაულისა.

ბ) იმ ტიპის ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელმაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისა, იმ პირობით თუ ყველა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს

წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. თუ დაზარალებულის უფლებამონაცვლე გარდაცვლილია ან ვერ იძებნება, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირზე, თუ ამაზე თანხმობას ამ ქვეპუნქტით დადგენილი წესით განაცხადებს დაზარალებულის ოჯახის ყველა სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი (დედა, მამა, მეუღლე, შვილი), ხოლო თუ დაზარალებულს ოჯახის არცერთი ასეთი წევრი არ ჰყავს ან ვერ იძებნება, ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდება;

გ) 180-ე, 182-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, იმ პირობით, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) თუ დაზარალებული ფიზიკური პირის უფლებამონაცვლე გარდაცვლილია ან ვერ იძებნება, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირზე, თუ ამაზე თანხმობას ამავე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით განაცხადებს დაზარალებულის ოჯახის ერთი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი (დედა, მამა, მეუღლე, შვილი), ხოლო თუ დაზარალებულს ოჯახის ასეთი წევრი არ ჰყავს ან ვერ იძებნება, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდება;

ბ) თუ დაზარალებული იურიდიული პირი რეორგანიზებულია, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირზე, თუ ამაზე თანხმობას ამავე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით განაცხადებს დაზარალებული იურიდიული პირის სამართალმემკვიდრე (უფლებამონაცვლე) იურიდიული პირი, ხოლო თუ დაზარალებული იურიდიული პირი ლიკვიდირებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდება.

3. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან ის ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის არის 70 წლის (სამოცდაათი) ან მეტი, ხოლო ბრალდებული/მსჯავრდებული ქალი 65 წლის (სამოცდახუთი) ან მეტი ასაკის, თუ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით; 200¹ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით; 200² მუხლის მე-4 ნაწილით; 200⁴ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით; 200⁵ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით; 200⁶ მუხლის მე-4 ნაწილით; 202-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 203-ე მუხლის მე-3 ნაწილით; 205¹ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით; 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 214-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით; 221-ე მუხლის მე-4 ნაწილით; 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით; 249-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მძიმე დანაშაული.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პირის მიმართ გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის დანაშაულთა საქმეებზე, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ შესაბამის დანაშაულთა საქმეებზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული

გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებსა და მე-2 პუნქტში მითითებულ პირთა თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 2

1. ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ერთნაირად და პროპორციულად ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა.
2. ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებულ პირებს ნასამართლობა მოეხსნებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3

ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული ჩაიდინა 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 4

1. ბრალდებულზე, მათ შორის ძებნილ ბრალდებულზე, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას გამოძიების სტადიაზე იღებს შესაბამისი პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე – შესაბამისი სასამართლო.
2. მსჯავრდებულზე, მათ შორის ძებნილ მსჯავრდებულზე, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო, ხოლო დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე – თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომელსაც პატიმრობაში ან პრობაციის რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულის პირად საქმეს ამ კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში უგზავნის შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება/არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო, ხოლო ძებნილ მსჯავრდებულზე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების შესახებ სასამართლოს იმავე ვადაში მიმართავს საქართველოს პროკურატურა.
3. იმ ძებნილ მსჯავრდებულზე, რომლის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ გასაჩივრებულა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე ან მე-300 მუხლების მე-3 ნაწილების შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს ის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელმაც განიხილა ამ მსჯავრდებულის საქმე. ამ მსჯავრდებულზე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების შესახებ სასამართლოს ამ კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში მიმართავს საქართველოს პროკურატურა.
4. დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე, თუ მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელის სახე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო სასამართლო), რომელსაც მსჯავრდებულის პირად საქმეს ამ კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში უგზავნის შესაბამისი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების შეზღუდვა - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება.

5. დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც გადავადებული აქვს განაჩენის აღსრულება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო. ამნისტიის აღსასრულებლად შესაბამის სასამართლოს ამ კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში უნდა მიმართოს თავად მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა ან ოჯახის წევრმა.

6. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

მუხლი 5

ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 6

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი